პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 აპრილი, კვირა, 1989 წ.
№ 64 (9983) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოში შეიქმნა სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდი

## მისი ანგარიშია 000700367

**ასეთი** ფონდი პირველად შეიქმნა საბჭოთა კავშირში. რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების მხარდაჭერით მიღებულია შესაბამისი დადგენილება და უკვე გაიხსნა საბანკო ანგარიში. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოში გუშინ გაიმართა ფონდის დამფუძნებელი სხდომა, რომელმაც დაამტკიცა დებულება და მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობა, მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

გთავაზობთ ნონა გაფრინდაშვილთან „ლელოს“ კორესპონდენტის საუბარს.

— ყველა უზომოდ გახარებული ვართ საქველმოქმედო ფონდის შექმნით, — თქვა ქალბატონმა ნონამ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მატერიალური სახსრები, რომლებიც ფონდს ექნება, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი სპორტის განვითარებას, მოსახლეობას შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის გაღრმავებას. მზრუნველობას არ მოვაკლებთ ობლებს და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებს, დავეხმარებით სპორტის ვეტერანებს, რომლებმაც ბევრი გააკეთეს ქართული სპორტის ავტორიტეტის ამაღლებისათვის. ჩვენი უმთავრესი მიზანია აგრეთვე ხელი შევუწყოთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ფონდი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან შეიქმნა.

**● როგორი იქნება ფონდის სტატუსი?**



ნონა გაფრინდაშვილი

— ფონდი დამოუკიდებელი, იურიდიული ორგანიზაციაა. ნებაყოფლობით მის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ ცალკეული ორგანიზაციები, რესპუბლიკის, მთლიანად ქვეყნისა და უცხოეთის მოქალაქეები.

**● მკითხველისთვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ვაცნობოთ თუ ვინ შევიდნენ მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობაში.**

— საბჭო აერთიანებს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, სპორტის ვეტერანებს, საზოგადო მოღვაწეებს და ცალკეული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. აქვე გეტყვით: მზრუნველთა საბჭო ანაწილებს ფულად და მატერიალურ სახსრებს, ამოწმებს მათ გამოყენებას.

**● მთავარი, ალბათ, მაინც ფულადი ფონდია. შემოსავლის მიღება რა წყაროებიდან იგეგმება?**

— ვიტყვი მხოლოდ მოკლედ. დებულებით სახსრებს გაიღებენ სპორტული, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები. მოეწყობა აგრეთვე საქველმოქმედო მატჩები, კულტურულ-სპორტული სანახაობები, შაბათობები... ფონდში თავიანთ შეწირულობებს შეიტანენ საბჭოთა და უცხოელი მოქალაქეები.

სხვათა შორის, ფონდში უკვე გაჩნდა პირველი თანხა — 2615 მანეთი. ესაა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს აპარატისა და მათდამი დაქვემდებარებული თბილისის ორგანიზაციების მუშაკთა ერთი დღის ხელფასი.

ჩვენი საბჭოს წევრმა, კოოპერატივ „ავერსის“ თავმჯდომარემ ტარიელ ჩიგოგიძემ უკვე 1000 მანეთი გამოჰყო ფონდის ემბლემის შესაქმნელად. ასე რომ, ვიწვევთ მხატვრებს კონკურსში მონაწილეობისათვის. გამარჯვებული მიიღებს 500 მანეთს, მეორე პრემია 300 მანეთია, მესამე — 200.

იმედი მაქვს, ჩვენი საზოგადოებრიობა ფართოდ გამოეხმაურება ფონდის შექმნას და პრაქტიკულად ამოგვიდგება მხარში.

**ფონდის ანგარიშია: 000700367 (სსრ კავშირის ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო).**

## გუშინ ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები მხნეობისა და ჯანმრთელობისთვის

### საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა დღესაც გაგრძელდება

**თბილისის** ცენტრალური მაგისტრალი ლენინის მოედნიდან გამარჯვების პარკამდე ხშირად ქცეულა მასობრივი სპორტული ღონისძიებების სარბიელად. ასეთი ხალხმრავალი ასპარეზობა ყოველთვის სანიმუშო ორგანიზაციას მოითხოვს, რადგან რამდენიმე საათით ქალაქის ამ სისხლსავსე არტერიის გადაკეტვა იოლი საქმე არ არის.

უფრო მოსახერხებელია ნამდვილი სპორტული შეჯიბრების გამართვა, ცხადია, მძლეოსანთა გარბენს ვგულისხმობთ. სწორედ ასეთი ასპარეზობა იყო დაგეგმილი გუშინ, სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ საქალაქო ზეიმზე. ზემოხსენებულ ტრასაზე საქართველოს ნაკრების წევრები გამოვიდნენ. საქმე, ცოტა არ იყოს, იმან გაართულა, რომ საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები სწორედ გუშინწინ დაბრუნდა კისლოვოდსკიდან, სადაც იგი საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა. ამის გამო ზოგმა მორბენალმა ვეღარ შეძლო სათანადოდ მომზადებულიყო და მონაწილეობა მიეღო გარბენში.



ოლეგ ხარაზიშვილი.

მორბენალთა ჯგუფი, რომელმაც სტარტი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობასთან აიღო, კიდევ ვიმეორებთ, დიდი არ იყო, ოღონდ ბრძოლის სიმძაფრით გარბენი ნამდვილად საინტერესო შეჯიბრება გამოდგა. სწრაფად გამოიკვეთა საუკეთესო ექვსეული, რომლის წევრები თითქმის მთელ მანძილზე ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი ძლიერმა ფინიშმა გამარჯვება მოუტანა სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივ „ჩოგანთან“ არსებული რბენის მოყვარულთა კლუბის „მგლის მუხლის“ წარმომადგენელს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ოლეგ ხარაზიშვილს. მან დაახლოებით 4,8 კმ მანძილი 15 წუთსა და 24 წამში გაირბინა. მეორე ადგილზე „მგლის მუხლის“ წევრი შალვა ნადირაძე გავიდა — 15.30,0, მესამეზე — ნიკოლაი კუნიცინი (ასკ) — 15.32,0. დააჯილდოვეს აგრეთვე მეოთხე-მეექვსე ადგილზე გასული სპორტსმენები, ვალერი გედევანიშვილი, ზურაბ ხიტირი და ვალერი კარცევი.

რაც შეეხება მასობრივ გარბენს, იგი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე იყო დანიშნული. აქ თავი მოუყარეს თბილისის საწარმოთა ფიზკულტურულ აქტივს — მეთოდისტებს, კლუბის წევრებს. მონაწილეებმა გაირბინეს დისტანცია მუსიკალური კომედიის თეატრიდან ორჯონიკიძის სახელობის პარკამდე.

სპორტული სეზონის გახსნის დღეებში მიმდინარეობს კიდევ ერთი საინტერესო მძლეოსნური შეჯიბრება, ოღონდ იგი წმინდა სპორტული იქნება — გუშინ საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში დაიწყო საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატი.



მასობრივი გარბენი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## მეტოქეს მინდორზე უნდა გაუსწორდე!

**თბილისში** გრძელდება ოლიმპიური რეზერვებისა და ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული სკოლების საკავშირო პირველობის შესარჩევი ციკლი. როგორც გაუწყეთ, პირველი შეხვედრა მასპინძლებმა, „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელებმა კლაიპედელ თანატოლებთან შეხვედრაში გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 3:0. კარგად აღებული სტარტი იმედს გვისახავდა, რომ ჩვენი ფეხბურთელები მომდევნო შეხვედრასაც ღირსეულად ჩაატარებდნენ და არც შევმცდარვართ, მესამე ტურის მატჩში ლენინგრადელებთან, პირველივე წუთებიდან გამოიხატა ჩვენი ფეხბურთელების სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა, ბურთი კი ლენინგრადელთა კარის ბადეში მხოლოდ ერთხელ, მეორე ნახევრის მიწურულს აღმოჩნდა. ძნელია ჩამოთვალო და გაიხსენო ყველა ის ასპროცენტიანი საგოლე შესაძლებლობა. რომელიც ჩვენს გუნდს ჰქონდა, მაგრამ, როგორც ითქვა, სტუმრებს ამ მატჩში მხოლოდ ერთხელ მოუწიათ თამაშის ცენტრიდან დაწყება, რასაც თავიანთი მეკარის ოსტატურ და მახვილგონივრულ თამაშს უნდა უმადლოდნენ. გოლი კი შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე ხოსროშვილ-მურმანიშვილის ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შედეგად გავიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მწვრთნელებმა ორივე ფეხბურთელი შეხვედრის მეორე ნახევარში გამოიყვანეს მინდორზე და ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი მათ მიუძღვით. ჩვენი გუნდი ასპარეზობისათვის უდაოდ კარგად არის მომზადებული, რაც, რა თქმა უნდა, მწვრთნელების რ. გაგუას და ს. აპრესიანის დიდი დამსახურებაა.

უნდა ითქვას ისიც, რომ შესარჩევ ციკლში „ნორჩი დინამოელის“ შემადგენლობაში გარკვეული მიზეზების გამო ვერ მონაწილეობს ამ სკოლის აღზრდილი რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, ისინი თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში არიან მიწვეული.

აი, რა შემადგენლობით ითამაშა მატჩი ჩვენმა გუნდმა: დევაძე, გუჯაბიძე, ოქროპირიძე, ვიბლიანი, ნადარეიშვილი, მაღრაძე, ჩიბაშვილი, ბარამიძე, სირაძე (მურმანიშვილი), ჯანჯალაშვილი (ხოსროშვილი), კურჯიევი.

ბოლო მატჩს ჩვენი ფეხბურთელები 4 აპრილს ბაქოელებთან გამართავენ და სწორედ ბოლო ტურის შეხვედრები დაასახელებს ზონაში გამარჯვებული გუნდის ვინაობას, რომელიც შემდგომ ეტაპზე განაგრძობს ბრძოლას.

**არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა სასტუმრო „ამირანში“, სადაც ტურნირში მონაწილე გუნდები არიან დაბინავებული. ფრუნზელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ლენინგრადელებთან შეხვედრაში პირველი ტურის მატჩი ფრედ — 1:1 დაამთავრეს, ანგარიშის გასწორება ამჯერად მუშტი-კრივში სცადეს მეტოქეებთან... ფრუნზეს გუნდი მოხსნილია გათამაშებიდან.**

ზაზა კახაძე.



ს უ რ ა თ ზ ე: თამაშობენ თბილისისა და ლენინგრადის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## პირველად ჩვენს რესპუბლიკაში

**ა. ხარლამპიევის** სახელობის საერთაშორისო ტურნირი მეტად მნიშვნელოვან და პოპულარულ შეჯიბრებად ითვლება სამბისტთა შორის. წლევანდელ ასპარეზობას, როგორც უკვე იცით, ჩვენი რესპუბლიკა, კერძოდ კი გორი მასპინძლობს. უკვე ცნობილი გახდა თუ რომელი ქვეყნის სპორტსმენებმა გამოთქვეს საქართველოში ჩამოსვლის სურვილი. 6-8 აპრილს გორში, ცირკში გამართულ საჭიდაო სარბიელზე იასპარეზებენ აშშ-ის, იაპონიის, საფრანგეთის, მონღოლეთის, ბულგარეთის, კუბისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ცალკე 20-კაციანი კოლექტივით გამოვა საქართველოს ნაკრები. სხვათა შორის, კუბელთა გარდა სტუმართა ყველა გუნდი თითქმის სრული შემადგენლობით ჩაებმება ბრძოლაში.

შეჯიბრების პირველ დღეს, 6 აპრილს, ხალიჩაზე გამოვლენ 48,62 და 82 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეები, მეორე დღეს გათამაშდება მედლების 4 კომპლექტი (52, 68, 90, 100 კგ), მესამე დღეს კი — სამი (57, 74 კგ და მძიმე). შეხვედრები 10 საათზე დაიწყება.



### ელვა-ინფორმაცია

**გუშინ** თბილისსა და მოსკოვში დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები. თბილისის დინამოელებმა კიეველ თანაკლუბელებს უმასპინძლეს და გაიმარჯვეს — 8:6. ალმაათის „დინამოსა“ და ლვოვის „დინამოს“ შეხვედრაში გაიმარჯვეს ალმაათელებმა — 8:7.

**წინადადება**

# ჩავაყენოთ სპორტის სამსახურში

**სპორტი** სულ უფრო მომთხოვნი, სულ უფრო „შეუბრალებელი" ხდება; ის, რაც გუშინ საკმარისი იყო გამარჯვებისთვის, დღეს უკვე ცოტაა. მაღალი შედეგების მისაღწევად ადამიანის ორგანიზმის ჯერაც დაფარულ საიდუმლოებათა შეცნობის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვარჯიშის მეცნიერულ ნიადაგზე შემუშავებულ მეთოდიკას, აგრეთვე „გარე" საშუალებებს; სპორტსმენის ტანსაცმელს, ტრენაჟორებს, სავარჯიშო ადგილს და ა. შ.

ეს ბოლო საკითხი უმნიშვნელო არ არის, როგორც ზოგს შეიძლება მოეჩვენოს. სხვადასხვა კუთხის კლიმატი სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, ჰავისა და პირობითად დაყოფილი ზონების — დაბლობის, შუა და მაღალმთიანი ტერიტორიების მარჯვედ გამოყენებით შეიძლება დიდ ეფექტს მივაღწიოთ ვარჯიშის რაციონალური სისტემების შემუშავებაში.

ეს საკითხი, მოგეხსენებათ, კარგა ხანია ცნობილია და სპეციალისტები გაცხოველებით ეძებენ ადგილებს, სადაც დასცემენ საწვრთნელ ბანაკს და მეტი ნაყოფიერებით მოამზადებენ სპორტსმენებს. ცხადია, ზოგიერთ ასეთ ადგილზე, თუკი მიზანშეწონილად მიიჩნევენ, აშენებენ თანამედროვე საწვრთნელ ბაზებს და შემდგომ ეს ბაზები სპორტსმენთა მომზადების აღიარებულ ცენტრებად გადაიქცევა.

– ალბათ ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს მდიდარი ბუნება ნაკლებად არის გამოყენებული ამ მიზნისათვის. ნურავინ იფიქრებს, თითქოს დიდი, ცენტრალური ბაზების ფართო მშენებლობისკენ მოვუწოდებდეთ ვინმეს, რომლებიც, რაკი საკავშირო უწყებების გამგებლობაშია, ხშირად ადგილობრივ სპორტსმენებს არაფრად არგია. ჩვენ უფრო იმის თქმა გვინდოდა, რომ სავარჯიშოდ ცხრა მთას იქით წასვლა ყოველთვის არ არის გამართლებული და ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიძლება საამისოდ უფრო ხელსაყრელი ადგილი გამოინახოს.

აქ, სიტყვა, ცხადია, სპეციალისტებს ეკუთვნით. დღეს გთავაზობთ მძლეოსნობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ომარ ოდიშვილის** აზრს.

— წარმოშობით ყაზბეგიდან ვარ. როდესაც თვითონ ვიყავი სპორტსმენი, ვატყობდი, სოფელში რომ ვივარჯიშებდი, თბილისში ჩამოსული შედეგებს ვზრდიდი. ერთხელ ასე დავამყარე საქართველოს რეკორდი. შარშან, როდესაც ჩემს სპორტსმენებს, უროს მტყორცნელებს ჭაბუკთა საკავშირო თამაშებისთვის ვამზადებდი, აღარ მოვისურვე ბალტიისპირეთში გამგზავრება, სადაც, რა დასამალია, ზოგჯერ მეტისმეტად ნესტიან ადგილზე გვიხდება ცხოვრება და ვარჯიში, ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ყაზბეგში ავიყვანე ჩემი ჯგუფი, ტურბაზაში დავაბინავე და სნოს მინდორზე დავიწყეთ მომზადება. მინდორი დიდია, იქ დოლი ტარდება ხოლმე. რომ მოინდომო, ზედ ერთი კი არა, ბარემ ხუთი სტადიონი გაიმართება.

იქ შესანიშნავი ჰაერი და წყლებია. ეს სპორტსმენებს აშკარად შეეტყოთ, ხალისიანად ვარჯიშობდნენ. წონის დაკლება მტყორცნელისათვის არ არის სასურველი, იქ კი, რამდენიც უნდა გვევარჯიშა, სტაბილურ წონას ვინარჩუნებდით.

ჯგუფში ერთი სპორტსმენი მყავს — ვალერი ჩიტაიშვილი, სხვებზე პატარაა. ამ გახურებულ ვარჯიშში მაინც მოიმატა ხუთი კილო და სამი მეტრით გააუმჯობესა შედეგი, 64 მეტრი და 24 სანტიმეტრი აჩვენა.

შემდეგ კი, სწორედ ჭაბუკთა საკავშირო თამაშების წინ, დასკვნითი შეკრება ისევ კაუნასთან ახლოს ჩავატარეთ. მიუხედავად იმისა, რომ კვება კარგი გვქონდა და მოახლოებული შეჯიბრების გამო დატვირთვა შევამცირეთ, თითქმის ყველამ წონაში დაიკლო და ეს შედეგებსაც დაეტყო. ყაზბეგთან შედარებით ვამბობ, თორემ მთაში ვარჯიშის მადლი მათ თამაშებამდე მიჰყავთ და იქ ურიგო შედეგები არ უჩვენებიათ.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ აუცილებელ საჭიროებად ვთვლი ყაზბეგში სავარჯიშო ბაზის მოწყობას. სნოს მინდორი ზღვის დონიდან 1500 მეტრზეა. ასი მეტრით უფრო მაღლა მდებარეობს სიონიც. იქაც ვაკე ადგილია, ტყორცნასა და რბენაში სავარჯიშოდ გამოსადეგი. სიონი ზედ ტყის პირზეა გაშენებული, იქ არის პიონერული ბანაკი, რომელსაც ზაფხულში მხოლოდ ორი თვით იყენებენ, დანარჩენ დროს ბანაკი დაცარიელებულია. იქ რომ პატარა სპორტული დარბაზი აშენდეს, უკეთეს სავარჯიშო ადგილს ვერ ინატრებს კაცი. იქაური ჰაერი, დარწმუნებული ვარ, კისლოვოდსკისას სჯობია, სადაც ძალზე ხშირად მიემგზავრებიან ჩვენი მძლეოსნები. ზოგჯერ ისეთ ადგილზე მივდივართ სავარჯიშოდ, მარტო ბილეთი იქით-აქეთ 100 მანეთზე მეტი ღირს.

გარდა ამისა, სნოს მინდორთან ახლოს არის ძველი ტურბაზა, რომლის გამოყენება, თუკი მას სპორტსმენებს გადასცემენ, მეტად სასარგებლო იქნება. მე ველაპარაკე ყაზბეგის აღმასკომის თავმჯდომარეს საველი მარსაგიშვილს, იგი ყველაფერში დამეთანხმა, მაგრამ მარტო მისი მონდომება არ იკმარებს, თუ ზემდგომი ორგანოები არ ჩაერევიან საქმეში.

ყაზბეგში შესანიშნავი ჰავა და ჯანმრთელი ახალგაზრდობაა, სპორტი კი თითქმის ჩამკვდარია. ამაზეც საჭიროა დაფიქრება.

მძლეოსანთაგან ყველაზე მეტად მტყორცნელებს გვიჭირს იმის მიუხედავად, რომ საკავშირო შეჯიბრებებზე ყველაზე მეტ ქულას ჩვენ ვაძლევთ რესპუბლიკის ნაკრებს. მე თვითონ აეროპორტის მხარეს გადავედი სავარჯიშოდ, რადგან ქალაქში, აგერ უკვე რამდენი წელია, ერთი ბაზაც კი ვერ დავიგულეთ საჩვენოდ მტყორცნელებმა. მოწაფეებს ახლოს მდებარე სოფლებში ვაგროვებ, მარტყოფში, ნორიოში, ვარკეთილში... არ დავიტრაბახებ, მაგრამ უკვე ხუთი სპორტის ოსტატი მოვამზადე, თუმცა ძალიან გვიჭირს. სატყორცნი სექტორის ბადე რა არის, ისიც კი სანატრელი გვქონდა წლების განმავლობაში და მუდამ შიშში ვიყავი, რაიმე ხიფათი არ მოხდეს-მეთქი. შემდეგ დიმიტრი იოსელიანის დახმარებით (ეს ბატონი დიმიტრის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა) ბადე მოგვცეს, მაგრამ მის დასამონტაჟებლად უშუალოდ სპორტსახკომის ხელმძღვანელობის ჩარევა გახდა საჭირო...

მოკლედ, როგორც ხედავთ, პრობლემა ბევრია. სავარჯიშო ბაზების საჭიროებაზეც ამიტომ ჩამოვაგდე სიტყვა.

**ჩაიწერა გიორგი ჩოჩიშვილმა.**

**კვირიდან კვირამდე**

„პრავდა" — 21 მარტი. „შეუთავსებლობა". ვოლგოგრადის „როტორის" ფეხბურთელებმა უნდობლობა გამოუცხადეს გუნდის უფროს მწვრთნელს პ. შუბინს.

„სოვეტსკი სპორტი" — 30 მარტი. „ნახევარი მილიონი ფორვარდისათვის?" ლენინგრადის „ზენიტის" ყოფილმა ფეხბურთელმა ო. სალენკომ პირველი შეხვედრა ჩაატარა კიევის „დინამოს" შემადგენლობაში. მეორე დღეს სსრ კავშირის სპორტსახკომმა მიიღო დეპეშა...

31 მარტი. „ჩასაფრებული მხეცი". ბოლო დროს სპორტულ სარბიელებზე გაიზარდა „აგრესიული ადამიანის" პრობლემა. ამ ფაქტმა ძალზე დააინტერესა მეცნიერები.

1 აპრილი. „საით იხრება ქალის გული?" ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს საკმაოდ დაბალი ხელფასი აქვთ: ამის გამო ხან ოჯახი იშლება, ხან ბავშვები ზარალდებიან.

# გაიმარჯვა ავტოშემკეთებელმა

**თბილისის** სატრანსპორტო გაერთიანების სპორტკლუბ „სინათლის" ძალოსნობის დარბაზში ჩატარდა ამავე გაერთიანების პირველობა სიმძიმეების აწევაში. შეჯიბრებაში მონაწილე ათი გუნდიდან პირველ-მეორე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ მეექვსე და მეოთხე ავტოსატრანსპორტო საწარმოების გუნდები, ხოლო მესამეზე — ტროლეიბუსების საწარმოს კოლექტივი.

აბსოლუტურ პირველობაზე გაიმარჯვა მეექვსე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტოშემკეთებელმა მირიან ქოქოშვილმა. მან 24 კგ-იანი საწონი 78-ჯერ ასწია.

**ზურაბ გენგიური.**

**ჩვენი თანამემამულენი**

# სულით ძლიერი

**ლეგენდარული** სოფელია ღები, მის ისტორიას შორეულ საუკუნეებში აქვს ფესვები გადგმული. ციხესახლებითა და საბრძოლო კოშკებით დამშვენებულ ამ სოფელს რომ შეხედავთ, უმალ დარწმუნდებით მის რაინდულ წარსულში. აქ მრავალი მამაცი, სულით ძლიერი ვაჟკაცი აღზრდილა. ერთ-ერთი მათგანია შალვა გავაშელი, რომელიც 1914 წლის 8 ივნისს დაიბადა ღებში.

მძიმე და აუტანელი იყო ცადაზიდულ, მარადიული თოვლით დაფარულ მთებს შორის მოქცეული ღებელი კაცის ყოფა-ცხოვრება. მძიმე სნეულებანი, მტრების თარეში. მიწის სიმცირე და სხვა უკულმართობა ძილსა და მოსვენებას უკარგავდა მთიელებს. სწორედ ამ გაჭირვებამ აიძულა შალვას მამა, ორგზის გიორგის ჯვრის კავალერი ალექსანდრე მიეტოვებინა მშობლიური სოფელი და ცოლშვილის სარჩენი სახსარი ჩრდილო კავკასიის დაბებსა და ქალაქებში ეძებნა. ამ გზამ იგი ქალაქ კისლოვოდსკში მიიყვანა, სადაც თავისი ცოლშვილით საბოლოოდ დამკვიდრდა კიდეც.

კისლოვოდსკის მე-3 რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ შალვა კომკავშირული საგზურით სამუშაოდ მიავლინეს პერმის მხარის ქალაქ კიზელის ქვანახშირის საბადოებში. ყმაწვილმა სამუშაოსგან მოუწყვეტლივ დაამთავრა სამთო ტექნიკუმი, ხელმძღვანელთა ყურადღებაც მიიქცია და იგი მალე დააწინაურეს. შალვა გავაშელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუშათა შორის, მის ფიზიკურ გამძლეობასა და კაცურ-კაცობას ყველა ქებით მოიხსენიებდა. მას ბევრჯერ უხსნია ხიფათის წინაშე მდგარ მაღაროელ მუშათა სიცოცხლე. ამ სასახელო შრომა-გარჯაში გადიოდა დღეები, ახალგაზრდა ქართველ ინჟინერს წინ დიდი მომავალი ესახებოდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა — 1933 წლის სექტემბერში, როცა შალვა მეორე ცვლაში მუშაობდა, შახტში მოხდა აფეთქება, რომელმაც 14 მაღაროელის სიცოცხლე შეიწირა. შალვა გავაშელმა ამ უმძიმეს განსაცდელსაც გაუძლო — 17 საათი დამარხული იყო, მაგრამ მაინც გადარჩა. თუმცა ეს გადარჩენა საბედისწერო გამოდგა; ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა, დაბრმავდა. ერთი თვე საავადმყოფოში გაატარა, შემდეგ მოსკოვის თვალის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ექიმ აუერბახის ჯადოსნურმა მარჯვენამ იხსნა დაბრმავებისაგან — ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, შალვამ მზის შუქი იხილა. იგი მეორე ჯგუფის ინვალიდი და პენსიონერი დაბრუნდა კისლოვოდსკში, მაგრამ მხნეობა და ცხოვრების ინტერესი არ დაუკარგავს. რაკი სპეციალობით მუშაობა აღარ შეეძლო, ბედი სპორტში სცადა. ეს გადაწყვეტილება შემთხვევითი არ იყო: მას ბავშვობიდან იტაცებდა სპორტი, თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს, უყვარდა სიმძიმესთან ჭიდილი, ცურვა. ერთ დღეს კისლოვოდსკის სპორტდარბაზს მიაკითხა, სადაც ძალოსნები ვარჯიშობდნენ. მძიმე შტანგას წაატანა ხელი და ბუმბულივით აიტაცა ჰაერში. ყველა გააოცა უცნობი ქართველი ვაჟკაცის გოლიათურმა ძალ-ღონემ. მწვრთნელებმა შალვას ვარჯიში შესთავაზეს. შეუპოვარი, დაუღალავი და მონდომებული ვარჯიშით მისი ფიზიკური მონაცემები და ოსტატობა დღითიდღე იხვეწებოდა, ხუთი წლის ვარჯიშის შემდეგ კი კისლოვოდსკში გამართულ ძალოსანთა საქალაქო პირველობაზე ქვემძიმე წონაში მოასპარეზე შალვამ ჩრდილო კავკასიისა და სტავროპოლის მხარის 5 რეკორდი დაამყარა. 1938 წელს იგი სტავროპოლის მხარის ჩემპიონი გახდა და 18 წლის განმავლობაში არავისათვის დაუთმია ეს ტიტული.

შალვა გავაშელს საქართველოსთან და ქართველ სპორტსმენებთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. ფიზკულტურული განათლებაც აქ მიიღო — 1941 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმი და კისლოვოდსკში დაბრუნდა. შალვა დღესაც კმაყოფილებით იგონებს თბილისში გატარებულ დღეებს, სპორტსმენ მეგობრებს და პედაგოგებს: ნიკოლოზ მეიფარიანს, ირაკლი ყანჩელს, ალექსი ტარასევიჩს, არკადი აბაშიძეს, ვალერიან კალმახელიძეს, ვიქტორ გელოვანსა და სხვებს.



ს უ რ ა თ ზ ე: შალვა გავაშელი (მარცხნიდან მეხუთე); მისგან მარჯვნივ ხლავა მეტრეველია, ფოტო გადაღებულია კისლოვოდსკში.

სამამულო ომის მძიმე დღეები იდგა. დაჭრილი მებრძოლებით აივსო კისლოვოდსკი. შალვამ მუშაობა დაიწყო სანატორიუმ „კავკაზის" ბაზაზე შექმნილ ევაკოჰოსპიტალში სამკურნალო ფიზკულტურისა და ფიზიოთერაპიის მეთოდისტად. მის გულისხმიერებასა და ყურადღებაზე ნათლად მეტყველებს ის, რომ, თუ ჰოსპიტალში უადგილობის გამო შეუძლებელი იყო ავადმყოფთა მიღება, მას შინ მიჰყავდა მებრძოლები და იქ მკურნალობდა.

1942 წლის აგვისტოში კისლოვოდსკში გერმანელები შევიდნენ. შალვა არ შემდრკალა, ის ავად მოსაგონარი წელიც სამშობლოსა და ხალხის სამსახურში გაატარა, შინ მალულად მიჰყავდა დაჭრილი საბჭოთა მებრძოლები, მფარველობდა და მკურნალობდა მათ. ასე იხსნა მან დაღუპვისაგან მძიმედ დაჭრილი რუსი მებრძოლები ვასილ მლადცოვი და გიორგი ნეპაიუში.

1945 წლის მაისში შალვა გავაშელი კისლოვოდსკის საქალაქო სპორტკომიტეტში მიიწვიეს შტატგარეშე თავმჯდომარედ, შემდეგ უფროს ინსპექტორად დანიშნეს, 1950 წლიდან კი ქალაქის სპორტკომიტეტის თავკაცად დააწინაურეს. პარალელურად იგი ძალოსანთა მწვრთნელადაც მუშაობდა და მრავალი ძლიერი სპორტსმენიც აღზარდა. ნაყოფიერი მუშაობისთვის შალვას რსფსრ დამსახურებული მწვრთნელისა და საერთაშორისო მსაჯის საპატიო წოდებები მიანიჭეს.

1959 წელს მისი აქტიური მონაწილეობით კისლოვოდსკში დაიწყო 10000 ადგილიანი საქალაქო სტადიონის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ შ. გავაშელი დაინიშნა სტადიონის დირექტორად. 1961 წელს იგი კვლავ კისლოვოდსკის საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ თანამდებობაზე შალვა 1975 წლის ივლისამდე მუშაობდა. შალვას დამსახურებაზე ქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში მეტყველებს ისიც, რომ 1974 წელს მას მიენიჭა რსფსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

სხვა ღირსებებთან ერთად შალვა გავაშელი ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობითაც გამოირჩევა. კისლოვოდსკში ჩატარებულ ყველა ღონისძიებაზე ის გულთბილად მასპინძლობს სტუმრებს. მათ მიღება-დაბინავება-გასტუმრებას მას ვერავინ დაასწრებს. ამიტომ არის, რომ მას მთელ ჩვენს ქვეყანაში ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავს.

დროს თავისი მიაქვს. შალვას ძველმა ტკივილებმა გაუხსენა, წელთა სიმრავლეც დააწვა, ამ ბოლო დროს მხედველობაც სრულიად დაჰკარგა, მაგრამ ცხოვრების სიძნელეთა წინაშე დღესაც ქედუხრელია. იგი კისლოვოდსკში მცხოვრებ ქართველთა დიდი ქომაგი და თავკაცია. უიმისოდ აქ საოჯახო დავაც კი არ წყდება. რჩევას მუდამ მას ეკითხებიან. ამავე დროს იგი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტი რაინდია — ვის არ ნახავთ მის ოჯახში, სადაც მუდამ ხალხმრავლობაა. ამიტომ არის, რომ იგი ყველას უყვარს, დიდ პატივს სცემენ, ფრიად პოპულარული კაცია ქალაქში. ნებისმიერ კისლოვოდსკელს შალვას ვინაობა რომ ჰკითხოთ, მოკლედ და სხარტად გიპასუხებთ: ჩვენი შალვა, სულით ძლიერი და ქედუხრელი კაცია, ღმერთმა გვიმრავლოს მაგისთანა ვაჟკაცები.

ჩვენც ამის დასტურად დავსძენთ, გვიმრავლოს!

**სპარტაკ რეხვიაშვილი.**

# ექღვნება თანაკლუბელის ხსოვნას

**ჩვენი** ფეხბურთის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ კვლავ შეხვდნენ 1981 წლის ნიმუშის თბილისის „დინამოს“. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებულები თითქმის მთელი შემადგენლობით მიიღებენ მონაწილეობას საქველმოქმედო მატჩში, რომელიც გაიმართება 23 აპრილს თბილისში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე.

ასეთი მატჩის გამართვის იდეა იშვა „დინამოს“ ფეხბურთელთა ახლანდელ გაახალგაზრდავებულ კოლექტივში. ისინი, ვინც დღეს იცავს რესპუბლიკის საუკეთესო გუნდის ინტერესებს, შეხვდებიან ვეტერანებს, რომლებმაც რვა წლის წინათ შესანიშნავი გამარჯვებით გაუთქვეს სახელი მსოფლიო ასპარეზზე ქართულ ფეხბურთს. მაგრამ იმათ შორის, ვინც 1981 წლის გაზაფხულზე ეს გამარჯვება მოიპოვა დიუსელდორფის სტადიონზე, მომავალ მატჩში არ იქნება ფეხბურთელი მაისურზე მეექვსე ნომერს რომ ატარებდა. იგი ეკუთვნოდა მოთამაშეს, რომელმაც იმ სამახსოვრო შეხვედრაში გამარჯვების ბურთი გაიტანა „კარლ ცაისის“ კარში, თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ნიჭიერ ნახევარმცველს ვიტალი დარასელიას. ამ ფეხბურთელის ცხოვრება ტრაგიკულად შეწყდა მისი სპორტული ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში.

მაგრამ ბურთზე პირველ სიმბოლურ დარტყმას ამ მატჩში შეასრულებს მაინც მეექვსე ნომრით მოთამაშე ფეხბურთელი — უმცროსი დარასელია, 11 წლის ვიტალი.

მომავალი შეხვედრა, უთუოდ, ქართველი ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს გამოიწვევს. იგი ხომ გაიმართება ხსოვნის დღემდე ერთი კვირით ადრე, რომელიც ტრადიციული გახდა ჩვენს რესპუბლიკაში. თბილისის დინამოელები ამ მატჩს უძღვნიან ყველა გარდაცვლილ თანაკლუბელს, რომელთა ოჯახებსა და ახლობლებს გადაეცემა მატჩის მთელი შემოსავალი.

(საქინფორმი).

# სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ლიდერთა შ[illegible]

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**ალმა-ათა.** როგორც ვიუწყებოდით, პირველი მატჩი გათამაშების ლიდერმა კაუნასის „ჟალგირისმა“ ყაზახეთის დედაქალაქში რის ვაი-ნაჩრობით მოიგო. ლიტველ კალათბურთელთათვის ეს სერიოზული გაფრთხილება უნდა ყოფილიყო. ადგილობრივმა არმიელებმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს პირველი მატჩის შეცდომები და განმეორებით შეხვედრაში ისე წარმართეს ბრძოლა, რომ მეტოქეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს. ტაიმი ალმა-ათის გუნდმა 11 ქულით მოიგო — 49:38. ეს უპირატესობა მეორე ტაიმში არა თუ შეინარჩუნა, უფრო გააღრმავა კიდეც და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა — 95:80. „ჟალგირისმა“ მიმდინარე გათამაშებაში მესამე მარცხი განიცადა, მაგრამ ეს ლიდერის მდგომარეობას ოდნავადაც არ არყევს. დაკარგული ქულებით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მყოფ კიევის „სტროიტელს“ იგი 3 ქულით უსწრებს.

**ტალინი.** ესტონელმა კალათბურთელებმაც შეძლეს რევანშის აღება, თანაც შარშანდელ ჩემპიონ მოსკოვის ცსკა-სთან. შეხვედრის პი[illegible]რველი ნახევრის [illegible] სტუმრებს [illegible] გაშო. ტაიმი მათ 12 ქულით მოიგეს. შესვენების შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. „კალევმა“ მტკიცედ იგდო ხელთ ინიციატივა და იგი ბრძოლის ბოლომდე არ გაუშვია. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 70:70. დამატებით დროში კი ესტონელმა სპორტსმენებმა გამარჯვება მოიპოვეს — 81:78.

**რიგა.** ადგილობრივი ვეფ-ისა და მინსკის რტი-ს პირველ ორთაბრძოლაში წარმატებას რიგელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს — 86:79 (44:44).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აპრილისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ჟალგ.“ (კაუნ.) | 34 | 31 | 3 | 65 |
| ასკ (ალმა-ათა) | 38 | 25 | 13 | 63 |
| „სტროიტელი“ (კ.) | 34 | 28 | 6 | 62 |
| „დინამო“ (მ.) | 38 | 21 | 17 | 59 |
| ცსკა | 35 | 23 | 12 | 58 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 38 | 18 | 20 | 56 |
| „კალევი“ (ტალ.) | 36 | 17 | 19 | 53 |
| „დინამო“ (თბ.) | 36 | 15 | 21 | 51 |
| რტი (მინსკი) | 35 | 15 | 20 | 50 |
| ვეფ (რიგა) | 38 | 9 | 29 | 47 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 36 | 9 | 27 | 45 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 38 | 7 | 31 | 45 |

● ფეხბურთი

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 2 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ, | ქ, |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 7 |
| „დინამო“ (კიევი) | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 7 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტრ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 5 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 4 | 1 | 3 | 0 | 3-1 | 5 |
| „არარატი“ (ერევანი) | 4 | 2 | 1 | 1 | 2-3 | 5 |
| „დინამო“ (მინსკი) | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 4 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 4 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 | 4 |
| „დინამო“ (თბილისი) | 4 | 0 | 4 | 0 | 4-4 | 4 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 3 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 4 | 1 | 0 | 3 | 1-6 | 2 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |

**გუშინ** ლენინგრადში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის ბოლო მატჩი, ადგილობრივმა „ზენიტმა“ მიიღო ერევნის „არარატი“.

თამაში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0.

# ამხანაგური მატჩები

გაიმართა რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში.

წარმატებით ითამაშეს რუმინელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე ქალაქ სიბიუში იტალიის ნაკრების წინააღმდეგ. შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 0:0, შესვენების შემდეგ მასპინძელთა ნახევარმცველმა ოვიდიუ საბაუმ ეფექტური გოლი გაიტანა და მატჩიც რუმინელ ფეხბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. ეს იტალიელთა პირველი დამარცხებაა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ გამართულ 6 მატჩში.

ათენში ერთმანეთს შეხვდნენ საბერძნეთისა და თურქეთის გუნდები. თურქმა ფეხბურთელებმა შეძლეს მასპინძელთა დამარცხება, ერთადერთი ბურთი 38-ე წუთზე გაიტანა სტუმართა თავდამსხმელმა რ. ტილმენმა.

ლისაბონში პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა მიიღეს ანგოლის ნაკრები და იოლ გამარჯვებას მიაღწიეს — 6:0 (2:0).




● ფეხბურთი



 იტალია-90

# მაგიური კალა

**იტალიის** სამმა უდიდესმა პროფკავშირმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, რომ 1990 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში გაფიცვები არ გამოაცხადოს. შრომის მინისტრმა ფრანკო კარარომ, რომელიც ამავე დროს სპორტსაც განაგებს, მადლობა გადაუხადა პროფკავშირებს გაგებისა და თანამშრომლობისათვის. სოციალისტური პროფკავშირების ერთ-ერთმა ლიდერმა ჯორჯო ბენვენუტომ განაცხადა, რომ „მთავარია ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი სოციალური მშვიდობის პირობებში ჩატარდეს“.

თავის მხრივ იტალიის პარლამენტმა გადაწყვიტა დახმარება გაუწიოს იმ ქალაქებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ. უკვე დამტკიცდა დეკრეტი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 2,35 მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ. ეს თანხა უმთავრესად ქუჩებში წესრიგის დამყარებას, ტრანსპორტის სრულყოფასა და აეროპორტების მოდერნიზაციას მოხმარდება.

ჩემპიონატში მონაწილე 12 ქალაქს შორის ყველაზე დიდ დოტაციას მიიღებს რომი — 580 მილიონ დოლარს, ყველაზე ცოტას კი ბოლონია — 48. მეორე დეკრეტის თანახმად გამოყოფილი 2 მილიარდი დოლარი დასჭირდება სტადიონების კეთილმოწყობას და იმ შენიშვნების ლიკვიდაციას, რომლებიც ოფიციალურად გამოთქვა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საინსპექციო ჯგუფმა.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

### იუგოსლავია

**21-ე ტური.** „კრუშევაცი“ — „ვოივოდინა“ 1:2, „დინამო“ — „პარტიზანი“ 2:0, „ჰაიდუკი“ — „სარაევო“ 3:1, „რადნიჩკი“ — „რიეკა“ 4:0, „ჟელეზნიჩარი“ — „ტუზლა“ 2:2 (1:4), „ვარდარი“ — „სუბოტიცა“ 2:0, „ბუდუჩნოსტი“ — „ნიში“ 1:0, „ცრვენა ზვეზდა“ — „ველეჟი“ 4:1, „ოსიეკი“ — „ზენიცა“ 6:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვოივ.“ (ნოვი სადი) | 21 | 30-20 | 28 |
| „რადნიჩკი“ (ბელგ.) | 21 | 29-18 | 24 |
| „ჰაიდუკი“ (სპლიტი) | 21 | 26-14 | 23 |

### რუმინეთი

**მე-20 ტური.** „დინამო“ — „სტიაუა“ 1:2, „სიბიუ“ — „არჯესი“ 4:0, „ორადეა“ — „რაპიდი“ 3:1, „კონსტანცა“ — „ოლტი“ 2:0, „ბაკაუ“ — „კლუჟი“ 2:1, „ასა“ — „მერენი“ 0:2, „ბრაშოვი“ — „ჰუნედოარა“ 1:0, „გალატი“ — „კრაიოვა“ 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტიაუა“ | 20 | 73-17 | 39 |
| „დინამო“ | 20 | 81-18 | 37 |
| „ვიქტორია“ | 19 | 49-31 | 27 |

### საბერძნეთი

**24-ე ტური.** „კალამარია“ — „ოფი“ (კრეტა) 0:3, „დიაგორასი“ — „აეკი“ 0:2, „ვოლოსი“ — „ლარისა“ 2:2, „დოქსა“ — „აპოლონი“ 1:0, „ლევადიაკოსი“ — „ირაკლისი“ 3:2, „პანიონისი“ — „პანათინაიკოსი“ 0:2, „პაოკი“ — „არისი“ 1:1, „ოლიმპიაკოსი“ — „ეთნიკოსი“ 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აეკი“ | 24 | 38-15 | 36 |
| „ოლიმპიაკოსი“ | 24 | 40-18 | 33 |
| „პანათინაიკოსი“ | 24 | 36-21 | 29 |

### თურქეთი

**26-ე ტური.** „კაჰრამანი“ — „ალთაი“ 1:0, „სამსუნსპორი“ — „რიზესპორი“ 0:3, „ესკიშეჰირსპორი“ — „ბოლუსპორი“ 0:0, „დემისპორი“ — „სარისპორი“ 1:5, „ბეშიქთაში“ — „ადანასპორი“ 4:1, „ანკარაგიუჯუ“ — „ფენერბახჩე“ 1:1, „ტრაბზონსპორი“ — „ბურსასპორი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში“ | 25 | 62-11 | 63 |
| „ფენერბახჩე“ | 25 | 69-17 | 62 |
| „სარისპორი“ | 25 | 49-28 | 51 |

### პოლონეთი

**მე-17 ტური.** „ოლიმპია“ — „სლასკი“ 1:1, „იასტრებიე“ — „ლეგია“ 1:1, „ვისლა“ — „ლეხი“ 0:0, „სტალი“ — „ბიალისტოკი“ 2:0, „პოგონი“ — ქს (ლოძი) 1:2, „რუხი“ — გსკ (კატოვიცე) 1:1, „ვიტევი“ — „შონბერკი“ 2:0, „გურნიკი“ — „ვალბჟიხი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გურნიკი“ (ზაბჟე) | 17 | 32-13 | 29 |
| გკს (კატოვიცე) | 17 | 28-11 | 28 |
| „რუხი“ (ხოჟუვი) | 17 | 21-9 | 27 |

### უნგრეთი

**მე-19 ტური.** „დოჟა უიპეშტი“ — „ფერენცვაროში“ 0:2, მტკ — „რაბა ეტო“ 1:0, „ზალაეგერსზეგი“ — „სიოფოკი“ 0:0 (5:6), „კოჰაზი“ — „ვაშაში“ 1:1 (3:2), „ვაკი“ — „ვესპრემი“ 2:0, „ჰონვედი“ — „ტატაბანია“ 2:1, „ბეკეჩაბა“ — „პეჩი“ 1:2, „სომბათჰეი“ — „შეკეშფეჰერვარი“ 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფერენცვაროში“ | 19 | 33-23 | 39 |
| მტკ | 19 | 31-25 | 39 |
| „შეკეშფეჰერვარი“ | 19 | 40-22 | 37 |

### ბულგარეთი

**მე-19 ტური.** „სპარტაკი“ (ვარნა) — „რუსე“ 1:0, „სლავია“ — „მინიორი“ 0:2, „პირინი“ — „ჩერნომორეცი“ (ვარნა) 2:0, „ორიახოვიცა“ — „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) 2:0, „სლივენი“ — „სტარა ზაგორა“ 3:0, „თრაკია“ — „ვიტოშა“ 4:2, „ბოტევი“ — „ლოკომოტივი“ (სოფია) 0:1, „სრედეცი“ — „ეთირი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სრედეცი“ | 18 | 61-14 | 32 |
| „ვიტოშა“ | 19 | 37-25 | 24 |
| „თრაკია“ | 19 | 37-24 | 23 |

(საქ. ინფ.)

# ორივეჯერ 12 ქულის სხვაობით

ბოლო ერთი კვირის მანძილზე თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლემ (კიროვის პარკი) კალათბურთელ ქალთა საინტერესო ორთაბრძოლებს უმასპინძლა. პირველი ლიგის საკავშირო პირველობის მორიგ ტურში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ლენინგრადის „ვოლნას“ შეხვდა. ორივე შეხვედრა მასპინძლებმა აღმავლობით ჩაატარეს და დაამარცხეს მეტოქე ორივეჯერ 12 ქულის სხვაობით. პირველი შეხვედრა სპი-მ მოიგო — 79:67 (42:34), ხოლო მეორე — 94:82 (44:38). ამ მატჩებში კარგად ითამაშა გუნდის ლიდერმა მედეა მჭედლიძემ, რომელმაც კოლექტივს შესაბამისად 32 და 25 ქულა შესძინა.

ამჟამად ჩვენს გუნდს 21 მოგება აქვს და მეექვსე-მეშვიდე ადგილზე იმყოფება. ჩასატარებელი დარჩა კიდევ 14 მატჩი. ამიტომ ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რომ იგი რვა საუკეთესოში მოხვდება თუ არა.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ აბოკიანის „ადისის“ კალათბურთელები უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრებს თბილისში ატარებენ. ამჯერად მათი მეტოქეები იყვნენ უშუალო კონკურენტები (მესამე-მეოთხე ადგილების მოსაპოვებლად) — ვოლგოგრადის „დინამო“ და ლენინგრადის „ელექტროსილა“. აბოვიანელებმა ორივე ტურში წარუმატებლად ითამაშეს. მართალია, „დინამოსთან“ ერთი თამაში მოიგეს 86:80 (48:39), მაგრამ მეორეში დამარცხდნენ — 78:83 (44:44). რაც შეეხება ლენინგრადელებთან ორთაბრძოლებს, „ადისმა“ ორივე თამაში წააგო — 91:92 (44:53) და 69:78 (29:45), რითაც გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლას. ისინი მხოლოდ მე-5 ადგილისთვის ითამაშებენ.

ქართული სპორტული ტერმინოლოგია

# დელტაპლანი თუ ქარპოლი?

ძვირფასო რედაქცია!

ძველად სვანეთსა და რაჭაში სიმაგრეებისა და მაღალი კოშკების ზემო სართულზე შემონახული ჰქონდათ ხის კონსტრუქციებით და ტყავებით გაწყობილი დღევანდელი დელტაპლანის მსგავსი მოწყობილობა. ამ მოწყობილობას იყენებდნენ მტრის ალყიდან თავის დასაღწევად, ღამით ან ნისლიან ამინდში სიმაგრედან გადმოსაფრენად და მაშველთან მისაღწევად.

სვანეთსა და რაჭაში მას ქარპოლი ერქვა (რა თქმა უნდა, იგი საქართველოს სხვა კუთხეებშიც და, საერთოდ, ალბათ სხვა ქვეყნებშიც იქნებოდა გავრცელებული). ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება ამ უძველესი ქართული ტერმინის აღდგენა, დელტაპლანის ნაცვლად ქარპოლის ხმარება.

**ავთანდილ გიორგობიანი,**
**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ფიზიკის და თბოფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი.**

# ცხენი—რეკორდსმენი

**ინგლისურმა** ულაყმა დესერტ ორჩიდმა, რომელმაც ჩელტენჰემის ურთულესი სტიპლჩეზი მოიგო, თავის პატრონს რიჩარდ ბარიჯს „ოქროს თასი“ და 171 ათასი დოლარი მოუტანა. ამ ცხენს პრემიების სახით მოგებული აქვს 701 712 დოლარი (დესერტმა 54 დოღიდან 27-ში გაიმარჯვა).

ჩელტენჰემის სტიპლჩეზის ფინალში რეკორდსმენი ცხენის მხედარი სიმონ შერვუდი იყო. დოღი წვიმიან ამინდში ჩატარდა, ამიტომ რამდენიმე ცხენმა დისტანცია ვერც კი დაამთავრა. არც დესერტის გამარჯვება გახლდათ იოლი. ბრძოლის ბედი გადაწყდა დისტანციის ბოლო მეტრებზე, როცა დაწინაურებული იახოსი დაეცა და დესერტი წინ გავიდა. მწვრთნელის დევიდ ელსვორტის აზრით „ამ ცხენს აქვს პროფესიონალის ყნოსვა და გასაოცარი ბრძოლისუნარიანობა“.

სხვათა შორის, დოღის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დესერტის პატრონი ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა ღირდა თუ არა ასეთ ამინდში მისი გამოყვანა. მაგრამ მწვრთნელმა დაარწმუნა რიჩარდ ბარიჯი გამარჯვებაში და როგორც ხედავთ, არც შემცდარა.

დესერტი მსოფლიოს საუკეთესო ცხენთა სიაში ახლა უკვე ოფიციალურად შეიყვანეს.

# რიგით მეოთხემ სტარტი აიღო

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში განხლდა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშება. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ამ შეჯიბრებას დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაცია აწყობს და იგი ექვს დიდ ტურნირს შეიცავს, რომელთაგან სამი უკვე გაიმართა შარშან — ბრიუსელში, ბელფორსა და რეიკიავიკში. წელს კიდევ სამი შეჯიბრება გაიმართება და გამარჯვებულიც გამოვლინდება. ბარსელონის შემდეგ მოჭადრაკეები ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში შეიკრიბებიან. დასკვნითი ტურნირი კი შვეიციის ქალაქ შელეფტეოში მოეწყობა.

შეგახსენებთ, რომ დიდოსტატთა ასოციაციის თითოეული წევრი 4 ასეთ ტურნირში გამოვა. ჩათვლაში კი სამი საუკეთესო შედეგი შევა.

ბარსელონის ტურნირში თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ბორის სპასკი (საფრანგეთი), მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები არტურ იუსუპოვი და ჯონათან სპილმენი (ინგლისი), ალექსანდრე ბელიავსკი, რაფაელ ვაჰანიანი, ვალერი სალოვი, ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ლიუბომირ ლიუბოევიჩი, პრედრაგ ნიკოლიჩი (ორივე — იუგოსლავია), ხესუს ნოგეირასი (კუბა), ზოლტან რიბლი (უნგრეთი), იასერ სეირავანი (აშშ), იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია), რობერტ ჰიუბნერი (გფრ), ნაიჯელ შორტი (ინგლისი), მიგელ ილესკასი (ესპანეთი).

აი, ვის როგორი მდგომარეობა აქვს დღეისთვის: 60,5 ქულით პირველ ადგილზეა ალექსანდრე ბელიავსკი (ითამაშა სამივე ტურნირში). 56,5 ქულა მოაგროვა გარი კასპაროვმა (ითამაშა ორ ტურნირში). ანატოლი კარპოვს 54,5 ქულა აქვს (2). შემდეგ მოდიან ჯონათან სპილმენი — 49,5 (3), ანდრეი სოკოლოვი — 48 (3), იან ელვესტი — 45 (2), ჯონ ნანი — 42,5 (2), მიხეილ ტალი — 41 (2), ლიუბომირ ლიუბოევიჩი — 38,5 (2), იან ტიმანი — 38,5 (3), ბორის სპასკი — 32(2), ლაიოშ პორტიში, დიულა საქსი — 30,5-30,5 (2-2), ზოლტარ რიბლი — 29,5 (2), იოჰან ჰიარტარსონი — 29,5 (2), არტურ იუსუპოვი — 29,5 (2), პრედრაგ ნიკოლიჩი — 27 (2), ვალერი სალოვი — 25 (1), ხესუს ნოგეირასი — 23,5 (2), რობერტ ჰიუბნერი — 21 (1), ნაიჯელ შორტი — 18 (1), ვიქტორ კორჩნოი — 14,5 (2), იასერ სეირავანი — 13 (1). რაფაელ ვაჰანიანი მხოლოდ ერთ ტურნირში ჩაება და ოჯახური პირობების გამო ისიც მიატოვა. ამდენად, მას დღეისთვის არც ერთი ქულა არა აქვს.

ბარსელონის ტურნირის I ტურში ჰიარტარსონმა მოუგო სალოვს, ლიუბოევიჩმა — სპილმენს, კორჩნოიმ — ნიკოლიჩს, სეირავანმა — ნოგეირასს. ყაიმით დამთავრდა იუსუპოვ-სპასკის, ჰიუბნერ—ვაჰანიანის, შორტ — ბელიავსკისა და რიბლი—ილესკასის შეხვედრები. კასპაროვი ამ დღეს თავისუფალი იყო.

II ტურში კვლავ მოიპოვა გამარჯვება ჰიარტარსონმა. ამჯერად მან ვაჰანიანს სძლია. კასპაროვი დაუზავდა რიბლის. იუსუპოვმა მოუგო ილესკას, ჰიუბნერმა — ნიკოლიჩს. დაზავდნენ სპასკი და სეირავანი. ბელიავსკი — ლიუბოევიჩის, სალოვ — შორტისა და ნოგეირას — კორჩნოის შეხვედრები გადაიდო. სპილმენი ამ ტურში ისვენებდა.

2 ტურის შემდეგ ჰიარტარსონს ქულათა მაქსიმუმი აქვს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან იუსუპოვი, ჰიუბნერი და სეირავანი. ლიუბოევიჩსა და კორჩნოის თითო ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

## საჭადრაკო კომპოზიცია

### თეთრი და შავი

ეს ორი ტრადიციული ფერი დაკანონებულია ჭადრაკში — ერთმანეთის პირისპირ მდგარი მეტოქეძალების აღსანიშნავად. თეთრი და შავი ფიგურების ორთაბრძოლის უამრავი ეპიზოდი და მაგალითი საჭადრაკო თეორიის და ისტორიის კუთვნილებად იქცა. კომპოზიციაში საჭადრაკო პარტიისაგან განსხვავებით, თეთრებისა და შავების საბრძოლო ურთიერთობები გარკვეულ ჩარჩოებშია ჩასმული. თითქმის ყოველთვის, როგორც წესი, ნაწარმოების დავალებაში თეთრები იწყებენ ხოლმე, შავები კი საბოლოო მარცხს განიცდიან. და ეს პირობა უნდა შესრულდეს იმის განურჩევლად, თუ ძალთა რა თანაფარდობაა საწყის პოზიციაში. მოგვყავს გერმანელი პრობლემისტის „თეთრი“ ამოცანა, სადაც ფერთა თანაფარდობა უკიდურესად დარღვეულია, მაგრამ ამ სახუმარო და გროტესკული ფონის მიუხედავად იდეა მეტად შთამბეჭდავია.

**თ. ზირხი, 1953**



შამათი 5 სვლაში

დიაგრამამ მნახველს შეიძლება ღიმილი მოჰგვაროს, მაგრამ თურმე არც ისე ადვილია ეული შავი მეფის დაშამათება. ამოცანას ხსნის ერთადერთი, და ერთი შეხედვით, მეტად უცნაური სვლა 1.კh1! (კუ ნებაყოფლობით მიდის კუთხეში!) მფb1 2.ეh8! (მეორე უცნაური სვლა) მფc2 3. ეh2+ მფd3 4.ეg2! მფe4 5.ეd2X. ხოლო თუ 2...მფc1 3.ეh2 4.ეg5 და 5.ეg1X და ნათელი ხდება, რატომ არ ვარგოდა 2.ეg8?

მეორე პარადოქსულ მაგალითს, სადაც უკვე „შავი ძალების“ დიდი სიჭარბეა დაფაზე, ჩვენს ამომხსნელებს ვთავაზობთ.

**რ. ტრაუტნერი, 1961**



შამათი 5 სვლაში

ამოხსენით და გამოგვიგზავნეთ პასუხი!

### იუმორი

● **გამოჩენილი** დიდოსტატი და თამაშის საკუთარი სისტემის ცნობილი შემქმნელი არონ ნიმცოვიჩი უძლიერესი მოჭადრაკეების ღირსეულ მეტოქედ ითვლებოდა. მის სავიზიტო ბარათზე ეწერა: „ა. ნიმცოვიჩი — ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატი“.

— რა, გეშინიათ არ დაგავიწყდეთ, რომ კანდიდატი ხართ? — ჰკითხა ერთხელ მას თავ[illegible]ე ერთმა უტაქტო რეპორტიორმა.

— არა, მე მეშინია, რომ ამას საჭადრაკო სამყარო დაივიწყებს, — მწარედ მოუგო დიდოსტატმა.

● **კაპაბლანკას** მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ახალი მოპოვებული ჰქონდა, როცა პარიზში პატარა წიგნი გამოვიდა სახელწოდებით „კაპაბლანკას შეცდომები“. მისი ავტორი იყო ცნობილი რუსი ოსტატი ევგენი ზნოსკო-ბოროვსკი, რომელიც საფრანგეთში ემიგრაციაში იმყოფებოდა. როდესაც კუბელ მოჭადრაკეს ჰკითხეს, თუ რა აზრისაა იგი ამ ნაშრომზე, მან უპასუხა: „მე, ავტორთან დიდ ვალში ვარ. მას შემდეგ, რაც მან თავისი ყურადღების ღირსად ჩამთვალა, მეც განვიზრახე შესაბამისი პასუხი გამეცა და მინდოდა დამეწერა წიგნი სათაურით „ზნოსკო-ბოროვსკის კარგი სვლები“, მაგრამ, სამწუხაროდ, მასალა ვერ ვნახე“.

### ამოხსნა

„ლელოს“ 12 მარტის ნომერში დაბეჭდილი ვ. კალანდაძის ეტიუდის ამოხსნაა: 1. ეd8+ მფg7 2. h6+ მფf6 3.ეd6+! ლ:d6 4. კg5+ მფe5 5.კf4+ მფf6! 6.e5+! (6.კ:d6? პატი) ლ:e5 7.კg5X. პირველმა სწორი პასუხი გამოგზავნა: თეა ნარიმანიშვილმა (პატარძეული, საგარეჯოს რ.) ციცინო კვირიკაშვილმა (ონი), მერი და ა. ჩაფიჩაძეებმა (თერჯოლა), ო. ბენდელიანმა (ზუგდიდი), რ. გურულმა (ქვ. საქარა, ზესტაფონის რ.) ვ. მიქელაძემ (სამტრედია), მ. ყაულაშვილმა, ზ. ქველიაშვილმა (ორივე—რუსთავი), რ. და ნ. კახიძეებმა, თ. დიასამიძემ (ყველა — ბათუმი), ნ. ბესალაშვილმა, ტ. და დ. ხარაიშვილებმა, დ. ხაჩიძემ, თამარ გაგულაშვილმა, ა. წეველიძემ, ო. მამულაშვილმა (ყველა — თბილისი),

### ოთხ დივიზიონში

**დასასრულს** უახლოვდება პროფესიონალ ჰოკეისტთა ეროვნული ჩემპიონატი (ნხლ). გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ 6-7 მატჩი, რომლის შემდეგაც გაირკვევა ჩემპიონის ვინაობა.

დღევანდელი მდგომარეობით ჩემპიონატს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს: მონრეალ „კანადიენსი“ და კალგარი „ფლეიმსი“, რომლებიც საკმაოდ დიდი მარაგით უსწრებენ დანარჩენ გუნდებს.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გავეცნობით ბოლო რამდენიმე ტურის შედეგებს და შევაფასებთ შექმნილ სატურნირო მდგომარეობას. „პიტსბურგი“ — „ბოსტონი“ 2:8, „კვებეკი“ — „ლოს-ანჯელესი“ 0:4, „ნიუ ჯერსი“ — „კალგარი“ 1:5, „ვაშინგტონი“ — „ვინიპეგი“ 6:2, „მონრეალი“ — „ლოს-ანჟელესი“ 5:2, „ედმონტონი“ — „დეტროიტი“ 6:8, „ნიუ ჯერსი“ — „პიტსბურგი“ 1:2, „ვანკუვერი“ — „ედმონტონი“ 3:9, „ვაშინგტონი“ — „მონრეალი“ 4:1, „ჰარტფორდი“ — „ვაშინგტონი“ 2:8, „პიტსბურგი“ — „მონრეალი“ 2:7, „კვებეკი“ — „რეინჯერსი“ 8:3, „ლოს ანჟელესი“ — „კალგარი“ 3:9, „ედმონტონი“ — „აილენდერსი“ 3:2.

დივიზიონების მიხედვით სატურნირო მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება.

**პატრიკის დივიზიონი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „ვაშინგტონი“ | 73 | 84 |
| „პიტსბურგი“ | 73 | 79 |
| „რეინჯერსი“ | 73 | 78 |

**ადამსის დივიზიონი**

| | | |
|---|---|---|
| „მონრეალი“ | 75 | 107 |
| „ბოსტონი“ | 74 | 80 |
| „ბუფალო“ | 72 | 73 |

**ნორისის დივიზიონი**

| | | |
|---|---|---|
| „დეტროიტი“ | 74 | 76 |
| „სენტ ლუისი“ | 73 | 68 |
| „მინესოტა“ | 72 | 65 |

**სმიტის დივიზიონი**

| | | |
|---|---|---|
| „კალგარი“ | 75 | 107 |
| „ლოს-ანჟელესი“ | 73 | 80 |
| „ედმონტონი“ | 75 | 80 |

(საქ. ინფ.)

### დისკვალიფიკაციამ არ იმოქმედა

**მსოფლიოს** ერთ-ერთი უძლიერესი შუბის მტყორცნელი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ამერიკელი ტომ პეტრანოფი შარშან აშშ-ს მძლეოსნური ფედერაციის მიერ 6 წლით დისკვალიფიცირებულია იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართულ ერთ-ერთ ტურნირში. აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის წესის დარღვევას შტატებში მკაცრად დევნიან. მაგრამ პეტრანოფზე სასჯელის ამ ზომამაც ვერ იმოქმედა.

ექვსი წლის შემდეგ, — განაცხადა დისკვალიფიცირებულმა სპორტსმენმა, — საერთოდ ვერ შევძლებ სარბიელზე გამოსვლას. ამიტომ იძულებული ვარ მივიღო ახალი მოწვევა და ისევ გავემგზავრო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც საკმაოდ დიდ ჰონორარს მპირდებიან.

## კალეიდოსკოპი

### ქალი იწვევს...

**„თუ** მაიკ ტაისონს უსიამოვნება სურს, შემიძლია „მოვუხერხო“ ეს ნებისმიერ დროსა და ადგილზე“. ვის შესწევს ძალა და გამბედაობა ასეთი ქედმაღლური გამოწვევა გაუგზავნოს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეებს შორის? ეს გახლავთ 21 წლის ფრანგული წარმოშობის კანადელი ასული ლიან დიუფრეში. მართალია, იგი ტაისონს რინგზე კი არა, არამედ ამჟამად მთელ დასავლეთ ქვეყნებში გავრცელებულ და ჩვენში მკლავის გადაძალვად ცნობილ სახეობაში სთავაზობს შერკინებას. დიუფრეში, რომელიც 165 სანტიმეტრის სიმაღლისაა და 75 კილოგრამს იწონის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია ამ გოლიათთა თავშესაქცევში. ამას წინათ, მან სულ რაღაც 6 წამში სძლია ნხლ-ის ყოფილ პროფესიონალ ჰოკეისტს პიერ ბუშერს, რომლის წონა 109 კგ-ია და დიდი ძალით გამოირჩევა. საინტერესოა ტაისონი მიიღებს გამოწვევას?

### გახდება თუ არა „სუპერვარსკვლავი“

კენიელმა მძლეოსანმა ჯონ ნგუგიმ უპრეცედენტო წარმატებას მიაღწია — მეოთხედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი კროსში. სპეციალისტების აზრით მიმდინარე სეზონში მას შეუძლია კიდევ უფრო დიდი სიურპრიზები შემოგვთავაზოს, ახლა უკვე სარბენ ბილიკზე.

სხვათა შორის, თავად სპორტსმენსაც განზრახული აქვს იერიში მიიტანოს მსოფლიო რეკორდზე 10 კილომეტრზე რბენაში. შესაძლოა ეს მოხდეს მიმდინარე წლის ივლისში „ბიშლეტის“ (ოსლო) სტადიონზე, ან უფრო გვიან. თუ კენიელი წლეულს მართლაც დაამყარებს მსოფლიო რეკორდს, იგი უდაოდ პირველი მნიშვნელობის „სუპერვარსკვლავად“ წარმოგვიდგება— ასკვნიან დასავლეთის ჟურნალისტები. 27 წლის ნაირობელი ჯარისკაცი სეულში 5 კილომეტრზე გამარჯვების შემდეგაც არ იყო დიდად პოპულარული. ახლა კი ყველაფერი მის სასარგებლოდ შეიცვალა.

ნგუგის მწვრთნელის მაიკ კოსგეის განცხადებით, დაუმარცხებელ კროსმენს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეიცვალოს პროფესია და მობილიზაცია გაუკეთოს თავის შესაძლებლობებს, რათა სარბენი ბილიკის კანონიერი „მეფე“ გახდეს. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კენიელი „ვარსკვლავი“ მართლაც დაამხობს პორტუგალიელი ფერნანდო მამედეს მიერ 1984 წელს დამყარებულ მსოფლიო რეკორდს 10 ათას მეტრზე რბენაში — 27.13,81.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მე-13 ტირაჟების შედეგები, რომლებიც 1989 წლის 26 მარტს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-იდან:** ტირაჟში დაშვებულია 2.079.641 ვარიანტი. 6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (47) მოგება 1.786 მანეთია, 4 ციფრის გამოცნობისთვის (2.628) — 35 მანეთი, 3 ციფრის გამოცნობისთვის (45.334) — 3 მანეთი.

საქართველოში: 6 ციფრი არავის გამოუცნია, 5 ციფრი გამოიცნო 3-მა კაცმა (თბილისი), 4 — 84-მა, 3 —888 კაცმა.

**„სპორტლოტო 5 36“-იდან:** ტირაჟში დაშვებულია 21.415.244 ვარიანტი. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (54) მოგება 10.000 მანეთია, 4 ციფრის გამოცნობისთვის (7.129) — 155 მანეთი, 3 ციფრის გამოცნობისთვის (222.942) — 7 მანეთი.

საქართველოში: 5 ციფრი გამოიცნო 4-მა კაცმა (3 თბილისი, 1 ფოთი) 4 — 201-მა, 3 — 5.747-მა.

მე-13 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 10 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით.

• • •

## „სპორტპროგნოზი“

**მე-13** ტირაჟში ჩვენს რესპუბლიკაში 13 შედეგი გამოიცნო ერთმა კაცმა (თბილისი), 12 შედეგი — 84-მა, 11 შედეგი — 736-მა.



**ბერნი.** წყალში მხტომელთა ევროპის თასის გათამაშებაში დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ვაჟთა გუნდებს შორის ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: 1. სსრ კავშირი — 189 ქულა, 2. გდრ — 176 ქულა, 3. გფრ — 172 ქულა. ანალოგიური მდგომარეობაა ქალთა ტურნირშიც: სსრ კავშირი — 194, გდრ — 186, გფრ — 175 ქულა. საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა გუნდური თასი. პირად ასპარეზობაშიც როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის წინ საბჭოთა სპორტსმენები არიან.

**ლენინგრადი.** აქ მიმდინარე ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში წარმატება მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ო. სტრაჟევამ, რომელმაც ბოლო დღეს გაიმარჯვა ნაირსიმაღლის ორძელსა (9,875 ქულა) და თავისუფალ ვარჯიშში (9,750 ქულა).

ვაჟთა შორის თავი გამოიჩინა ვოროშილოვგრადელმა ი. კოროპჩინსკიმ, რომელიც ოთხ სახეობაში — თავისუფალ ვარჯიშში (9,750), ხტომებში (9,650), ორძელზე (9,700) და ძელზე (9,800) იყო უძლიერესი.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07163